რომელი ქალიც გათხოვდება თავისი მეურვის (ვალი) ნებართვის გარეშე, მისი ქორწინება(ნიქაჰი) ბათილია». (ეს სამჯერ გაიმეორა). «თუ ქმარმა მასთან თანაცხოვრება დაიწყო, მაჰრი მას ეკუთვნის იმ სიამოვნებისთვის, რაც ქმარმა მიიღო. ხოლო თუ მეურვეებთან უთანხმოება წარმოიშობა, მაშინ მმართველი იქნება იმ ქალის მეურვე, ვისაც მეურვე არ ჰყავს

აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადამოცემულია, რომ მან თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «რომელი ქალიც გათხოვდება თავისი მეურვის (ვალი) ნებართვის გარეშე, მისი ქორწინება(ნიქაჰი) ბათილია». (ეს სამჯერ გაიმეორა). «თუ ქმარმა მასთან თანაცხოვრება დაიწყო, მაჰრი მას ეკუთვნის იმ სიამოვნებისთვის, რაც ქმარმა მიიღო. ხოლო თუ მეურვეებთან უთანხმოება წარმოიშობა, მაშინ მმართველი იქნება იმ ქალის მეურვე, ვისაც მეურვე არ ჰყავს».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, ალ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა, რომ ქალმა არ უნდა გაათხოვოს თავი თავისი მეურვის ნებართვის გარეშე, და რომ ასეთი ნიქაჰი ბათილია (ეს სამჯერ გაიმეორა), თითქოს ის საერთოდ არ ყოფილიყო. თუ მამაკაცი, რომელმაც ქალთან მეურვის ნებართვის გარეშე იქორწინა, მასთან თანაცხოვრებაში შევიდა, მაშინ მას ეკუთვნის სრული მაჰრი იმ ურთიერთობის სანაცვლოდ, რაც მასთან ქორწინების შედეგად ჰქონდა. თუ მეურვეები ქორწინების მეურვეობაში ერთმანეთს ვერ დაეთანხმებიან, და მათი უფლება თანაბარია, მაშინ ქორწინების ხელშეკრულება ეკუთვნის იმ მეურვეს, ვინც პირველმა გააფორმა იგი, თუ ეს გაკეთდა ქალის სასიკეთოდ. თუ მეურვე ქორწინებაზე უარს იტყვის და არ დააქორწინებს მას, მაშინ ის ისე ჩაითვლება, თითქოს საერთოდ არ ჰყავდეს მეურვე. ასეთ შემთხვევაში, მისი მეურვე ხდება მმართველი, ან მისი წარმომადგენელი, როგორიცაა სასამართლოს მოსამართლე და მსგავსი პირები. თუ მეურვე არსებობს და არ არსებობს მისი მხრიდან უსამართლო უარი ქორწინებაზე, მაშინ მმართველს ან სხვა არავის არ აქვს ქორწინების მეურვეობის უფლება.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/58067